**თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**მორიგი სხდომის**

**ო ქ მ ი № 02**

29 იანვარი 2021 წ. ქ. თელავი

**სხდომას ესწრებოდნენ:** 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად არჩეული 25 დეპუტატი, და 2020 წლის საკრებულოს შუალედური არჩევნების შედეგად არჩეული 1 დეპუტატი :

**თავმჯდომარეობდა:** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - **არჩილი თხლაშიძე**

**ესწრებოდნენ:**

| | |
|---|---|
| საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე | **გიგა ორკოდაშვილი;** |
| საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე | **ნანა ხვისტანი;** |
| საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე | **დავით გოგოშვილი;** |
| საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე | **ლევან კოჭლოშვილი;** |
| საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე | **დავით ღაღანიძე;** |
| საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე | **ალექსანდრე შათირიშვილი;** |
| საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე | **ლევან ლილუაშვილი;** |
| საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“ თავმჯდომარე | **მაია მარკოზაშვილი;** |
| საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება მრეწველები“ თავმჯდომარე | **ტიტე დარეჯანიშვილი;** |
| საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მწვანეები“ თავმჯდომარე | **გიორგი ჩაბრაშვილი;** |

| | |
|---|---|
| საკრებულოს ფრაქციის „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ თავმჯდომარე | **არჩილი თვალიაშვილი;** |
| საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე | **ალექსი ძულიაშვილი;** |
| საკრებულოს ფრაქცია „ძლიერი სოფელი“ თავმჯდომარე | **ალექსანდრე კუპატაძე;** |
| საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე | **ბესიკი ქოჩიშვილი;** |
| საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე | **ზურაბ მუსაევი;** |
| საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება მრეწველები“ თავმჯდომარის მოადგილე | **ვასილ არაბული;** |
| საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება მწვანეები“ თავმჯდომარის მოადგილე | **გიგა მამუკელაშვილი;** |
| საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“ თავმჯდომარის მოადგილე | **გიორგი ქიზიყელაშვილი;** |
| საკრებულოს ფრაქცია „ძლიერი სოფელი“ თავმჯდომარის მოადგილე | **ზურაბი ნაცარაშვილი;** |

**საკრებულოს წევრები: იოსებ პარწიკანაშვილი, ლევან მრელაშვილი, გიორგი მეტრეველი, უჩა ჭოტიაშვილი, ზურაბ ლილუაშვილი, ბესიკ გაიპარაშვილი** (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

**სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:**
თელავის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი **ლევან ბერძენაშვილი;**
თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი **მაია დათუნაშვილი;**
მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებელობის, არქიტექტურისა და და ძეგლთა დაცვის სამსახურის ძეგლთა დაცვის განყოფილების უფროსი **ლია ალადაშვილი;**

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი **ტარიელ გალახვარიძე;**
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოქალაქეთა მომსახურების და საქმის წარმოების განყოფილების უფროსი **ნინო ტაბიძე;**

მოქალაქეები: **არჩილ მჭედლიშვილი, მაკა მოსიაშვილი.**
**მასობრივი საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლები.**

**თავმჯდომარემ** საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა

## <u>დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტში 2021 წელს განსახორციელებელი ძეგლთა დაცვის პროგრამის დამტკიცების შესახებ.

   მომხს. ლ.ალადაშვილი
   12.00სთ-დან - 12.10სთ-მდე

2. თელავის მუნიციპალიტეტში 2021 წელს განსახორციელებელი კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ.

   მომხს. მ.დათუნაშვილი
   12.10სთ-დან - 12.20სთ-მდე

3. თელავის მუნიციპალიტეტში 2021 წელს განსახორციელებელი სპორტულ-ახალგაზრდული პროგრამის დამტკიცების შესახებ.

   მომხს. მ.დათუნაშვილი
   12.20სთ-დან - 12.30სთ-მდე

4. თელავის მუნიციპალიტეტში დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

   მომხს. ლ.ბერძენაშვილი
   12.30სთ-დან - 12.40სთ-მდე

5. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის N8 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

   მომხს. ნ.ხვისტანი
   12.40სთ-დან - 12.50სთ-მდე

6. თელავის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ზონირებისა და ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

   მომხს. ნ.ხვისტანი
   12.50სთ-დან - 13.00სთ-მდე

**აღნიშნული სახით დღის წესრიგის დამტკიცებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა.**

<u>1.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტში 2021 წელს განსახორციელებელი ძეგლთა დაცვის პროგრამის დამტკიცების შესახებ.

მომხს. ლ.ალადაშვილი
12.00სთ-დან - 12.10სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> **ა.მჭედლიშვილმა** დასვა კითხვა „კაკლის წყალი“-ს სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებით, რაზეც განმარტებები გააკეთა მომხსენებელმა.

<u>გადაწყვიტეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).

2.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტში 2021 წელს განსახორციელებელი კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ.

მომხს. მ.დათუნაშვილი
12.10სთ-დან - 12.20სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: **გ.მამუკელაშვილმა** აღნიშნა, რომ არქეოლოგიურ ბანაკში მიმდინარე წელს სასურველია წავიდნენ მოსწავლეები, თუ კი პანდემიური ვითარება არ იქნება ხელის შემშლელი.

**ლ.მრელაშვილმა** კი ისაუბრა კერძო სკოლის მოსწავლეებს პროგრამაში ჩართვის მიზანშეწონილობის საკითხზე და განმარტა, რომ თანაბარ პირობებში უნდა მოექცეს კერძო და საჯარო სკოლაც.

**ლ.კოჭლოშვილმა** აღნიშნა, რომ კომისიის მიერ განხილულია საკითხი და ეთანხმება წარმოდგენილი სახით დამტკიცებას.

**ი.პარწიკანაშვილმა** აღნიშნა, რომ პრიორიტეტი უნდა იყოს მოსწავლეები, ხოლო იმ შემთხვევაში თუ პანდემიური მდგომარეობიდან გამომდინარე ვერ მოხერხდა ბავშვების წაყვანა, მაშინ უნდა ვიმსჯელოთ მასწავლებლების თაობაზე.

**გ.ორკოდაშვილმა** კერძო სკოლის აღსაზრდელი ბავშვების დაფინანსებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მიზანშეწონილია მათი ხარჯების დაფარვა.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 23 (ოცდასამი) წევრმა, **კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო:** 02 (ორი) წევრმა **ა.ძულიაშვილმა, ა.კუპატაძემ, საკითხის განხილვას** არ ესწრებოდა 01(ერთი) წევრი - **ზ.ნაცარაშვილი.**

3.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტში 2021 წელს განსახორციელებელი სპორტულ-ახალგაზრდული პროგრამის დამტკიცების შესახებ.

მომხს. მ.დათუნაშვილი
12.20სთ-დან - 12.30სთ-მდე

**მომხსენებელმა** აღნიშნა, რომ წარმოდგენილ პროექტში შეტანილი იქნა შესწორება და აისახა წარმატებული სპორტსმენების დაჯილდოვებისათვის საჭირო თანხები.

აზრი გამოთქვეს: **ლ.ლილუაშვილმა** მოითხოვა განმარტებები ახალგაზრდულ პროექტებთან დაკავშირებით.

**ა.ძულიაშვილმა** კი დასვა კითხვა ბანაკის და ექსკურსიის საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით.

საკრებულოს წევრების შეკითხვებს უპასუხა მომსხენებელმა.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 23 (ოცდასამი) წევრმა, **კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო:** 02 (ორი) წევრმა **ა.ძულიაშვილმა, ა.კუპატაძემ, საკითხის განხილვას** არ ესწრებოდა 01(ერთი) წევრი - **ზ.ნაცარაშვილი.**

4.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტში დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

მომხს. ლ.ბერძენაშვილი

12.30სთ-დან - 12.40სთ-მდე

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 23 (ოცდასამი) წევრმა, **კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო:** 02 (ორი) წევრმა **ა.ძულიაშვილმა, ა.კუპატაძემ, საკითხის განხილვას** არ ესწრებოდა 01(ერთი) წევრი - **ზ.ნაცარაშვილი.**

5.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის N8 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხს. ნ.ხვისტანი

12.40სთ-დან - 12.50სთ-მდე

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 23 (ოცდასამი) წევრმა, **კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო:** 02 (ორი) წევრმა **ა.ძულიაშვილმა, ა.კუპატაძემ, საკითხის განხილვას** არ ესწრებოდა 01(ერთი) წევრი - **ზ.ნაცარაშვილი.**ყველა წევრმა.

6.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ზონირებისა და ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხს. ნ.ხვისტანი

12.50სთ-დან - 13.00სთ-მდე

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 23 (ოცდასამი) წევრმა, **კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო:** 02 (ორი) წევრმა **ა.ძულიაშვილმა, ა.კუპატაძემ, საკითხის განხილვას** არ ესწრებოდა 01(ერთი) წევრი - **ზ.ნაცარაშვილი.**

საკრებულოს თავმჯდომარე **არჩილი თხლაშიძე**